

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური

ინტეგრაციის კონცეფცია

შესავალი

წინამდებარე კონცეპტუალური დოკუმენტი აყალიბებს ერთიან მიდგომას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის მიმართ, აანალიზებს არსებულ პრობლემებს და სახავს სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტებს ინვალიდობის სფეროში. მოცემული კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტი აყალიბებს სახელმძღვანელო პრინციპებს და სამოქმედო ამოცანებს, რომლებსაც დაეფუძნება სახელმწიფო სტრატეგია და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია ეფუძნება იმ საერთაშორისო აქტებსა და დოკუმენტებს, რომლებსაც საქართველო მოუერთდა და/ან რომელიც დღეს საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ინვალიდთა უფლებების დაცვის დეკლარაცია (1975 წლის 9 დეკემბერი). კონცეფციის შედგენისას გათვალისწინებულია 2006 წლის 13 დეკემბერს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ინვალიდთა) უფლებების კონვენცია; ასევე, 1993 წლის 20 დეკემბერს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული ინვალიდთა თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესები (რეზოლუცია 48/96);

თავი I. ზოგადი მიმოხილვა

"შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (ინვალიდი)" პირობითი ცნებაა, რომლის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ინვალიდთა არსებობის კონკრეტულ პირობებზე და/ან განსახორციელებელი ღონისძიებების ბუნებაზე. ზოგადად, იგი აღნიშნავს ადამიანს, რომელიც დაავადების, ტრავმის, არსებობისა თუ განვითარების არაადეკვატური პირობების, თანდაყოლილი ან შეძენილი გონებრივი, სენსომოტორული თუ ფიზიკური დარღვევის შედეგად განიცდის პროფესიული შრომის და ყოველდღიური ცხოვრების შესაძლებლობების ნაწილობრივ შეზღუდვას გრძელვადიან პერსპექტივაში, და ამდენად მისი უფლებების უზრუნველყოფა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.¹

ინვალიდობა – შესაბამისად, არის საზოგადოების დამოკიდებულების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების და მატერიალური გარემოს იმგვარი ერთობლიობა, რომლის შედეგად

¹ შესადარებლად: ინვალიდთა სოციალური დაცვის საქართველოს კანონის თანახმად: "ცნება 'ინვალიდი' აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას, ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გამწვანებას. ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისია განსაზღვრავს ინვალიდობის შესაბამის კატეგორიებს." მეორეს მხრივ, გაერო-ს ინვალიდთა უფლებების შესახებ კონვენციის თანახმად: "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განეკუთვნებიან ადამიანები - ხანგრძლივი ფიზიკური, ფსიქიური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რაც სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელს უშლიდეს მათ სრულ, ეფექტურ და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში."

სხვადასხვა ფიზიკური, ფსიქოემოციური, გონებრივი თუ სენსომოტორული პრობლემების მქონე ადამიანებს (ინვალიდებს) არ გააჩნიათ პიროვნული განვითარებისა და თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობა.

ისეთი ცნებები, როგორც დაავადება და დარღვევა, სამედიცინო ხასიათის ცნებებს წარმოადგენს და აღწერს მოცემული პიროვნების ობიექტურ მდგომარეობას ბიოლოგიურ თუ ფიზიოლოგიურ ნორმებთან მიმართებაში. ინვალიდობა კი ამ დაავადების/დარღვევის საფუძველზე აღმოცენებული სოციალური მოვლენაა, და ამდენად მისი ინტერპრეტაცია და საზღვრები იცვლება კონკრეტული სოციალური გარემოს ცვლილებასთან ერთად. ასევე, ინვალიდობის ცნების ინტერპრეტაცია დამოკიდებული იმ კონკრეტულ პოლიტიკაზე ან ღონისძიებაზე, რომელიც ხორციელდება ადამიანთა ამ ჯგუფის მიმართ, და შესაბამისად, როგორც წესი, სხვადასხვა უწყება თუ ორგანიზაცია ეყრდნობა ინვალიდობის სხვადასხვა განმარტებას, ან იდენტიფიკაციის კრიტერიუმებს.

ზემოთ მოყვანილი განმარტების შესაბამისად, ინვალიდობას - როგორც სოციალურ ფენომენს და როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკის საგანს - მრავალი ასპექტი გააჩნია. დღემდე ინვალიდობა, სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით, ძირითადად განიხილება, როგორც სამედიცინო პრობლემა, რომლის იდენტიფიკაცია საფუძველს უქმნის სოციალური დაცვის გარკვეული მექანიზმების ამოქმედებას - კონკრეტულად, ინვალიდობის პენსიასა და ზოგიერთ ფინანსურ შეღავათს, აგრეთვე გარკვეული სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ინვალიდობის სხვა ასპექტებიც, რომლებიც უკავშირდება ერთის მხრივ ინვალიდების რეაბილიტაციას, რათა ისინი უკეთ მოერგონ არსებულ გარემოს, მეორეს მხრივ თვით ფიზიკური და სოციალური გარემოს შეცვლას იმ მიმართულებით, რომ ინვალიდებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სრულად ისარგებლონ ყოველი იმ შესაძლებლობითა თუ მომსახურებით, რაზეც ქვეყნის სხვა მოქალაქეებს მიუწვდებათ ხელი.

ამდენად, ინვალიდობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა განიხილებოდეს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის² აღმოფხვრის, სოციალური ჩართულობის (ინკლუზიის) და შესაძლებლობების გათანაბრების თვალსაზრისით, რაც მოითხოვს არა მარტო ინვალიდების უფლებების სამართლებრივ უზრუნველყოფას, არამედ მიზანდასახულ პოლიტიკას და საჭიროების შემთხვევაში 'პოზიტიურ ქმედების' პრინციპის ამოქმედებას³.

² "ინვალიდობასთან დაკავშირებული დისკრიმინაცია" გულისხმობს ყოველგვარ გამორჩევას, გარიყვას ან შეზღუდვას ინვალიდობის გამო, რომლის მიზანია ან შედეგი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო, ან სხვა სფეროებში, ადამიანის ყოველი უფლებისა და ძირეული თავისუფლების, სხვებისგან განსხვავებული სახით, აღიარების, სარგებლობისა ან განხორციელების ხელის შეშლას ან უარყოფას შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას გამართლებულ მისადაგებაზე უარის თქმის ჩათვლით." გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ინვალიდთა) უფლებების კონვენცია

³ ეს პრინციპი გულისხმობს დისკრიმინაციის ძლიერი ფესვგადგმულობის სიტუაციაში, როგორც დროებით ზომას, არა მხოლოდ ფორმალური თანასწორუფლებიანობის აღდგენას, არამედ დისკრიმინირებული სოციალური ჯგუფისთვის საჭიროებისამებრ გარკვეული უპირატესობის მინიჭებას ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობის მისაღწევად.

თავი II. სიტუაციური ანალიზი - პრობლემები

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, ინვალიდებისთვის, აუცილებელია ძირითადი უფლებებისა და პიროვნული ღირსებების დაცვა, ნებისმიერი სახის არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ფაქტობრივი მდგომარეობის შეცვლა.

ინვალიდთა დიდი უმრავლესობა მოკლებულია პიროვნული რეალიზაციის და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას. ამის გამო, ისინი თავს არ თვლიან საზოგადოების სრულუფლებიან, დამოუკიდებელ და საჭირო წევრებად, უვითარდებათ დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომი, უინიციატივობა და პესიმიზმი. ინვალიდები პრაქტიკულად არ არიან ჩართული საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ეს იწვევს ინვალიდებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის ურთიერთგაუცხოებას, საზოგადოების ფრაგმენტაციას და დეჰუმანიზაციას.

სახელმწიფო განიცდის ეკონომიკურ ზარალსაც - ინვალიდები ვერ ერთვებიან ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და შრომით ურთიერთობებში, ხოლო მათი საჭიროებების უზრუნველყოფის ტვირთი მთლიანად გადანაწილდება ოჯახზე, საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე. ამგვარი მდგომარეობა მიუღებელია და შეუთავსებელია საზოგადოებრივი თანაცხოვრების აღიარებულ ნორმებთან.

ინვალიდობასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები:

- 2.1. ინვალიდებთან დაკავშირებულ საკითხთა სახელმწიფო მართვა და არსებული კანონმდებლობა არაეფექტურია. არ არსებობს ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა, სუსტია უწყებათა შორის კოორდინაცია. დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის ჩართულობა, მცირეა მათი რესურსები. მმართველობით სტრუქტურებში საექსპერტო კადრების დეფიციტია.
- 2.2. მწირია ან/და არაადეკვატურია ინვალიდებთან და ინვალიდობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. არ არსებობს სტატისტიკის შეგროვება-გადამუშავების მწყობრი სისტემა.
- 2.3. განუვითარებელია ინვალიდთა საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა და თანამშრომლობა. არაეფექტურია სერვისის მიწოდებელ ორგანიზაციათა სახელმწიფო დაფინანსების არსებული მექანიზმი.
- 2.4. არაადეკვატურია ინვალიდობის შეფასების (სტატუსის მინიჭების) სისტემა.
- 2.5. პრაქტიკულად არ იწარმოება და/ან დაბალია ინვალიდებთან დაკავშირებული პროგრამების სახელმწიფო და საზოგადოებრივი მონიტორინგისა და შეფასების ხარისხი.
- 2.6. არაეფექტურია საერთაშორისო კონვენციების და ნორმების განხორციელება. დაბალია ზოგადად საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხი.
- 2.7. ინვალიდობის შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებულია სტერეოტიპები, ინდიფერენტულობა და გაუთვითცნობიერებლობა. საზოგადოება მოუშზადებელია ინვალიდთა სოციალური ინკლუზიისათვის, არ აღიქვამს ინვალიდობის პრობლემას პრიორიტეტულ საკითხად.
- 2.8. ინვალიდებს შორის განსაკუთრებით გავრცელებულია სიღარიბე და უმუშევრობა, დისკრიმინაციულია შრომის ბაზარი.

2.9. არ მოქმედებს ინვალდთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხელშეწყობი ეკონომიკური მექანიზმები.

2.10. დაბალია ადეკვატური პრევენციული, სარეაბილიტაციო და სამედიცინო მომსახურების, პროთეზებისა და სხვა სპეციალური მოწყობილობების ხელმისაწვდომობა.

2.11. დაბალია ალტერნატიული, შინმოვლის, თემზე დაფუძნებული და ინსტიტუციური სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი.

2.12. აღინიშნება ინვალიდობის სფეროში მომუშავე სპეციალისტების (სოციალური მუშაკების, სოციალური და ოკუპაციური თერაპევტების, სპეციალური პედაგოგების, ფსიქოთერაპევტების, ა.შ.) დეფიციტი, არ ხდება პედაგოგიური, სამედიცინო და სხვა პერსონალის სპეციალური მომზადება.

2.13. ძირითადად ხელმოუწვდომელია ინკლუზიური (სკოლამდელი, საშუალო, უმაღლესი, და პროფესიული) განათლება, ასევე პროფესიული გადამზადება და უწყვეტი განათლება.

2.14. შეზღუდულია შემოქმედებითი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა და სრულფასოვანი ცხოვრების სხვა ელემენტების ხელმისაწვდომობა (სპორტი, კულტურა და გართობა); განუვითარებელია პარაოლიმპიური მოძრაობა.

2.15. პრაქტიკულად არ არსებობს ინკლუზიური ფიზიკური გარემო: არ არის დაცული შესაბამისი საშენებლო ნორმები; - ინვალიდთა სხვა ტექნიკური ინფრასტრუქტურით (ტრანსპორტით და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით) სარგებლობის შესაძლებლობა. შესაბამისად, შეზღუდულია ინვალიდთა მობილურობა და სოციალური ურთიერთობის შესაძლებლობა.

თავი III. მიზნები და ამოცანები

ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ინვალიდებისთვის თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მათთვის ცხოვრების იმგვარი პირობების შექმნას, რომ მიეცეთ - სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში - თანასწორობის პრინციპით და სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობა. ყველასათვის ერთნაირად უნდა იქნას ხელმისაწვდომი ისეთი საზოგადოებრივი სიკეთე, როგორცაა ხელშეწყობი და კეთილგანწყობილი ფიზიკური თუ კულტურული გარემო, საცხოვრებელი პირობები და ტრანსპორტი, სოციალური და ჯანდაცვის მომსახურები, განათლება და დასაქმება, სპორტი, რეკრეაციის შესაძლებლობები.

ყოველივე ამის მისაღწევად, სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს შემდეგ სამ უმთავრეს ამოცანას:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა; მათ მიმართ არსებული ფაქტობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა ინკლუზიური გარემოს⁴ უზრუნველყოფის მეშვეობით.

⁴ ინკლუზიური გარემო განიშარტება როგორც ფიზიკური, ინსტიტუციური და სოციალური პირობების ერთობლიობა, რომელიც აძლევს ინველიდობის მქონე პირებს თანაბარ შესაძლებლობას ისარგებლონ ყოველგვარი საზოგადოებრივი სიკეთით, რაც მოიცავს ყოველგვარი საზოგადოებრივი ადგილის (ხელმისაწვდომობას, და ყოველგვარი საზოგადოებრივ (კულტურულ, სპორტულ, პოლიტიკურ თუ სხვა) ღონისძიებაში თუ

2. პირობების შექმნა ინვალიდთა რეაბილიტაციისა და აბილიტაციისათვის საჭირო თერაპიის, მოვლის, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფისა და განათლების მეშვეობით;

3. საზოგადოების, გადაწყვეტილების მიმღებთა - ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, მედიისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა გაცნობიერება ინვალიდობის საკითხებში, მათი დაინტერესება და მობილიზაცია.

თავი IV. ძირითადი სამოქმედო პრინციპები

4.1. ძირუღლად გასაუმჯობესებელია მართვა, კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა სახელმწიფო უწყებებსა, ინვალიდთა ინტერესების წარმომადგენელ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

4.2. საჭიროა დიალოგი ინვალიდებთან (და/ან მათ მეურვეებთან) და აუცილებელია მათი თანამონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში; ხელი უნდა შეეწყოს ინვალიდების თვითორგანიზებას, თავიანთი ინტერესების წარმოდგენას.

4.3. უნდა მოხდეს შესაბამის სფეროში საზოგადოებრივი მონიტორინგის დანერგვა, ინვალიდობის მქონე პირთა უშუალო ჩართულობით; თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესაძლებლობების გაცნობიერება.

4.4. სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მდგრადი შედეგების მიღწევა, საჭიროებისამებრ გრძელვადიანი ქმედების საფუძველზე;

4.5. აუცილებელია მოქმედებათა დაგეგმვა ფაქტებზე, მტკიცებულებებზე, სათანადო ინფორმაციაზე და კვლევების შედეგებზე დაყრდნობით; ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის ორგანიზება.

4.6. უნდა მოხდეს ინვალიდებისათვის გამიზნული პროგრამების ინტეგრირება საერთო-სახელმწიფო პროგრამებში.

4.7. პროგრამების შემუშავება უნდა განხორციელდეს კატეგორიზაციის⁵ ეფექტური კრიტერიუმების საფუძველზე, კონკრეტული პოლიტიკის, ინდივიდუალური საჭიროებების და რესურსული უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

4.8. ინვალიდთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პროცესში აუცილებელია სოციალური სამართლიანობის დაცვა დანარჩენი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

მოვლენაში მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობას, და ასევევე ყოველგვარი ინფორმაციული თუ კომუნიკაციური არხით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობასაც.
⁵ კატეგორიზაცია - პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანების, საგნებისა თუ იდეების იდენტიფიკაცია და გამოჩენვა. კატეგორიზაცია გულისხმობს ინდივიდუალური ობიექტების კატეგორიებად დაჯგუფებას, ჩვეულებრივ გარკვეული მიზნისთვის. კატეგორიების ჩამოყალიბება კი ხდება კონცეპტუალური აღწერის, განმასხვავებელი კრიტერიუმების ან თვისებების ტიპური ჩამონათვალის შემუშავების მეშვეობით, რის შემდეგაც ხდება ობიექტების კლასიფიკაცია შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. კატეგორიზაცია წარმოადგენს ფუნდამენტალურ ოპერაციას ყოველგვარი პოლიტიკის დაგეგმვისა ან გახორციელების შემთხვევაში, როდესაც ას უკანასკნელი მიმართულია მოსახლეობის რომელიმე სპეციფიურ ჯგუფზე.

4.9. ინვალიდთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება თუ ქმედება საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური ეკონომიკური მექანიზმებით.

4.10. აუცილებელია ყველა ქმედების განხორციელებისას გენდერული თანასწორობის, ბავშვთა უფლებების, ადამიანის აღიარებული უფლებების გათვალისწინება და დაცვა.

თავი V. პოლიტიკისა და ქმედების პრიორიტეტული სფეროები

ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭიროა გარკვეული ღონისძიებების თანმიმდევრული დაგეგმვა და განხორციელება, რესურსების ეფექტური გამოყენება. ამ მიზნების მიღწევა კი საჭიროებს უმთავრესი სამოქმედო პრიორიტეტების გამოყოფასა და შემდეგი რიგის პრიორიტეტების ჩამოყალიბებას.

შესაძლებელია ოთხი ძირითადი პრიორიტეტული სფეროს გამოყოფა, რომელთაც სახელმწიფო მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და საითაც მიმართავს მის ხელთ არსებულ თუ დონორების დახმარებით მოპოვებულ მატერიალური და ადამიანური რესურსების ძირითად ნაწილს.

ეს ხუთი პრიორიტეტული მიმართულება შემდეგია:

- ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა
- ინკლუზიური გარემოს შექმნა
- განათლება
- დასაქმება
- ინვალიდთა თვითრეალიზაციის (შემოქმედება, სპორტი) შესაძლებლობის შექმნა

ამ ხუთი უმთავრესი მიმართულების ფარგლებში, და ნაწილობრივ კი მათ გარეთ, შესაძლოა მთელი რიგი მეორადი პრიორიტეტების განსაზღვრა. (მაგ. ჯანმრთელობის სფეროში ადრეული, მათ შორის პრენატალური, დიაგნოსტიკა და ჩარევა; მაღალი რისკის ჯგუფებს მიკუთვნებული შშობლების გენეტიკური შემოწმება; ბავშვთა ადრეული განვითარება; ორსული ქალების მდგომარეობის მონიტორინგი; საზოგადოების გათვითცნობიერება სამედიცინო რისკების და მათი თავიდან აცილების თაობაზე; საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა; სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებები - აცრა, სანიტარული ზედამხედველობა, ეპიდემიოლოგიური სამსახური; აგრეთვე სატრანსპორტო უსაფრთხოების გაზრდა, შრომის უსაფრთხოების წესების დანერგვა და დაცვა, და ა.შ.).

სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა:

5.1 სახელმწიფო პოლიტიკისა და სპეციალური პროგრამების შემუშავება და წარმართვა

სტრატეგიული დოკუმენტების, კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების თუ ნორმების შემუშავება და დანერგვა; აუცილებელია სამთავრობო საკოორდინაციო-საკონსულტაციო სტრუქტურის ამოქმედება; უწყებებს შორის კოორდინაციის, ურთიერთმიმართვის და თანამშრომლობის უზრუნველყოფა; ინვალიდობასთან მიმართებაში სოციალური მოდელის და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფაზე მიმართული მიდგომის დანერგვა; ინვალიდთა რელევანტური კატეგორიზაციის დანერგვა, მათი საჭიროებების კომპლექსურობის, განსახორციელებელი პროგრამების, და არსებული რესურსების გათვალისწინებით, ყოველივე ამის დასაგეგმად და განსახორციელებლად საჭიროა მთავრობისათვის ინვალიდობის შესახებ ამომწურავი და ხარისხიანი ინფორმაციის არსებობა,

ამ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის სისტემის ძირეული სრულყოფა; საჭიროა სოციალური პარტნიორობის წახალისება, სფეროს დაფინანსების ახალი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა ქვეყანაში მოქმედი მომსახურების მიმწოდებელთა გამოცდილების, შესაძლებლობების და საჭიროებათა გათვალისწინებით, ასევე უცხოური მოდელების შესწავლის და გამოცდილების გაზიარების გზით.

5.2 პროფესიული კადრების მომზადება და გადამზადება

ინვალიდობის სფეროში მომუშავე პროფესიონალების - სოციალური მუშაკის, დიზაინერის, სოციალური, ოკუპაციური და ხელოვნებითი თერაპევტის, შინ მოვლის სპეციალისტის, სპეციალური პედაგოგის, მშობელთა, ა.შ. მომზადება და გადამზადება; ინვალიდთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე უნდა მოხდეს ახალი სპეციალობათა შემოღების მიზანშეწონილობის შეფასება და საჭიროებისამებრ მათი დანერგვა.

5.3 ადგილობრივი ხელისუფლების, თემის, სამოქალაქო სექტორის, კერძო ინიციატივის ამოქმედება და მხარდაჭერა

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფართოდ დანერგვა; სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში კერძო და არასამთავრობო სექტორის, ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვა. ასევე აუცილებელია ყველა ზემოთხსენებული სტრუქტურისთვის ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების განმარტება, თანამშრომლობის შესაძლებლობებისა და მოქმედი წესების შესახებ ინფორმირება.

5.4 დასაქმება, ეკონომიკური საქმიანობა და პროფესიული გადამზადება

დასაქმებაში დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ინვალიდების დასაქმების წახალისების მექანიზმების ამოქმედება; ინვალიდებისთვის პროფესიული განათლების/გადამზადების და დასაქმების სისტემის შექმნა; ინვალიდთა თვითდასაქმებისა და მცირე ბიზნესში მათი მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა.

5.5 ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და სოციალური დაცვა

სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისას, განსაკუთრებით - სოციალური დახმარების ეროვნული პროგრამების განხორციელებისას, - ადეკვატურად უნდა იქნას წარმოდგებილი ინვალიდობის თემა; შესამუშავებელია სპეციალიზებული მიზნობრივი პროგრამები ინვალიდებისთვის (ვიდრე ამ საჭიროებებს არ ფარავს საერთო-ეროვნული პროგრამები), მათი საჭიროებების წინასწარი შესაწავლის საფუძველზე, რაც გამიზნული იქნება მათი ცხოვრების პირობების და ხარისხის გაუმჯობესებაზე, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფაზე, და ეს მათ სპეციალური საჭიროებებით გამოწვეული ხარკების დაფარვას უნდა მოიცავდეს.

5.6 მკურნალობა და რეაბილიტაცია

ინვალიდების სამედიცინო და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია უდავოდ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ერთ-ერთ უმთავრეს სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს. იგი ინვალიდობის თემას სცილდება და ამდენად შესაბამის ჯანდაცვის სტრატეგიაში უნდა აისახოს. ამგვარი პრიორიტეტის ფარგლებში, საჭიროა - ინვალიდებისთვის კვალიფიციური დიაგნოსტიკის და მკურნალობის შესაძლებლობების და ხელმისაწვდომობის გაზრდა (მათ შორის გეოგრაფიულად დაშორებულ დასახლებებში); ინვალიდებზე გამიზნული სპეციალური პროგრამების, მათ შორის, ეფექტური სამედიცინო დაზღვევისა და ვაუჩერების ამოქმედება, არსებული სისტემის გაძლიერება, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მკურნალობის ნუსხის გადახედვა (ყოველივე ეს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ბუნებრივი ნაწილია და

საბოლოო ჯამში თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინვალიდებისთვის); ინვალიდების პროტეზებით, სხვადასხვა სახის დამხმარე, საეარჯიშო თუ სარეაბილიტაციო მოწყობილობებითა და იარაღებით უზრუნველყოფა.

5.7 მომსახურების (სერვისების) ხელმისაწვდომობა

არსებულ სხვადასხვა სერვისში ინვალიდთა საჭიროებათა შეფასება და არსებული და პოტენციური სერვისების შესაძლებლობების შესწავლა; საჭიროა საკვანძო მნიშვნელობის სერვის პროვაიდერებისა და ახალი სერვისების მხარდაჭერა და სტიმულირება, სერვის პროვაიდერების საქმიანობის დარეგულირება და ზედამხედველობა, პირველ რიგში, პროფესიული ასოციაციების, ინვალიდთა ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართვით.

5.8 ინკლუზიური და სპეციალიზებული განათლება

ინკლუზიური განათლების სისტემის გეგმაზომიერი განვითარება და ამ სისტემაში ინვალიდ ბავშვთა კატეგორიათა სრული მოცვა, ამ სისტემაში მომუშავე პერსონალის გადამზადება. სასწავლებლების სათანადოდ აღჭურვა. აუცილებელია ინვალიდ ბავშვთა კატეგორიზაციის სისტემის დანერგვა. მიზნობრივი პროგრამების გამოყენება (მაგ. ბინაზე ან დისტანციური განათლების) ინვალიდების გარკვეული კატეგორიის ინკლუზიის შეუძლებლობის შემთხვევაში.

5.9 რეზიდენტული დაწესებულებები და დეინსტიტუციონალიზაცია

ინვალიდთა დეინსტიტუციონალიზაციის გრძელვადიანი გეგმის ამოქმედება, რომელიც ეფუძნება ალტერნატიული მოდელების (თემზე დაფუძნებული, ოჯახური ტიპის, ა.შ.) არსებობას და არჩევანის თავისუფლების პრინციპებს. შობლებისა და მომვლელების, აგრეთვე მიმღები ოჯახების ეფექტური სოციალური მხარდაჭერა, წვრთნა და ზედმეტი წევნითი შემოწმება; რეზიდენტული ინსტიტუტების მდგომარეობისა და საჭიროების გამოკვლევა და მოქმედ დაწესებულებებში განთავსებულთა ყოფის რადიკალური გაუმჯობესება;

5.10 ინკლუზიური ფიზიკური გარემო

სასწრაფოდ უნდა მოხდეს საშენებლო და ინკლუზიურ ფიზიკურ გარემოს შექმნასთან დაკავშირებული არსებული საკანონმდებლო ნორმების აღსრულების უზრუნველყოფა (სპეციალური ბილიკი, ლიფტი, ა.შ.); საჭიროების შემთხვევაში ახალი საშენებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ნორმალების მიღება; საზოგადოების თავშეყრისა თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებში ინვალიდების მიმართ ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა, სტიმულირება და ინიცირება;

5.11 საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა

- აუცილებელია ინვალიდების ინფორმაციული იზოლაციის დაძლევა, არსებული ტექნოლოგიების და კომუნიკაციის საშუალებების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფით; სმენა-მოკლებული პირთათვის ვიზუალური/ნიშნების ენის გამოყენება ელექტრონულ მასმედიაში, საზოგადოებრივ ადგილებში; ბრაილის სისტემისა და მისი ანალოგების ფართოდ დანერგვა (წიგნების და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა, ა.შ.) უსინათლოთათვის; მოძრაობა-შეზღუდულ პირთა საჭიროებისამებრ უზრუნველყოფა გადაადგილების საშუალებებით (ეტლები, ა.შ.), კომუნიკაციის საშუალებებით (ტელეფონი, ინტერნეტი); ინვალიდთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა; ასევე

სპეციალური ღონისძიებების (სპორტული შეჯიბრების) ორგანიზება; პარაოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობა.

5.12 საზოგადოების გაენობიერება

ხელი უნდა შეეწყოს მედიაში ინვალიდობის საკითხის ადეკვატურ ასახვას; ყურადღება უნდა მიექცეს ინვალიდობასთან დაკავშირებული სწორი ტერმინოლოგიის გამოყენებას. საჭიროა ინვალიდობის საკითხზე საზოგადოებრივი და პროფესიული განხილვების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება და მათი მედიაში გაშუქება, ასევე ინვალიდობის თემა ფართოდ უნდა იხილებოდეს საჯარო დისკუსიებზე, სასწავლო პროგრამებში და დაწესებულებებში;

თავი VI. სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი

1. სახელმწიფო სტრატეგიით დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობა - შესაბამისი სამინისტროები და სახელმწიფო დაწესებულებები შეიმუშავებენ პროგრამებს და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, ასევე არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით განხორციელებენ მათ. ამ პროგრამების ფინანსურ, ტექნიკურ მხარდაჭერასა და უშუალო განხორციელებაში ფართოდ უნდა ჩაერთონ სხვადასხვა საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

2. სტრატეგიის განხორციელებას კოორდინირებას უწევს ხელისუფლების უმაღლეს დონეზე (მაგ. პრეზიდენტთან) არსებული საკოორდინაციო საბჭო, რომლის ფუნქციებში უნდა შედიოდეს:

- ინვალიდობის სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინირება;
- ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის მონიტორინგი და შეფასება, ზედამხედველობა და კოორდინაცია;
- ინვალიდობის სფეროში მომზადებული საკანონმდებლო წინადადებებისა და საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა და შეფასება საქართველოს პარლამენტთან ერთად.

საკოორდინაციო საბჭოს დებულებას შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა.

2. სახელმწიფო პროგრამების წარმატებით განხორციელების უმთავრესი პირობაა კარგად გათვლილი, დეტალური და რეალისტური სამოქმედო გეგმის (სტრატეგიის) შემუშავება, რომელიც ასახავს როგორც საჭირო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრებს, ისე ინსტიტუციონალურ და სხვა რესურსებს - მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

3. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის შედეგად ყოველწლიურად მოხდება დასახულ ღონისძიებათა ქმედითობის შეფასება და სტრატეგიის გადახედვა-განახლება ახალი რეალობის გათვალისწინებით.

4. სტრატეგიის განხორციელების და მონიტორინგის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც თავად ინვალიდებისა (და მათ მუურვეთა), ასევე სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას, ინფორმირებულობას და გამჭვირვალობას.